ოქმი:**ო12. 3726091001**

თარიღი:**01/04/2026**

ოქმი N 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი, 30 მარტი

ქ.ოზურგეთი

14:00 -15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ხურციძე, ნ. ჭანიშვილი, ი. დობორჯგინიძე, გ. კალანდაძე, მ . ცქვიტინიძე, ე. წუწუნავა, გ. ჩავლეშვილი, თ. ქავთარია, კ. კვაჭაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N 13 დადგენილებასი ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის საკითხი, აღნიშნა, რომ პროექტი კიდევ უფრო ამარტივებს 18 წლამდე ონკოდაავადებულთა სამედიცინო მომსახურების საკითხს, კომისიის წევრებს კონკრეტულად დადგენილების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში შეტანილ ცვლილებებზე ესაუბრა თანამომხსენებელი მ. ცელაძე და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკცებლად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი